ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №5

2019 წლის 28 თებერვალი
ქ. ტყიბული

„ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან განსახორციელებელი მუნიციპალური სოციალური პროგრამისა და სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 დეკემბრის N 75 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მუხლი 1.

„ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან განსახორციელებელი მუნიციპალური სოციალური პროგრამისა და სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ „ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N75 დადგენილებით (www.matsne.gov.ge. 28/12/2018 წ. 190020020.35.125.016341.) დამტკიცებულ დანართი 1-ში შეტანილ იქნეს ცვლილებები.

1. **დანართის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

   5. ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულმა მრავალშვილიანმა ოჯახმა, რომელსაც ჰყავს 4 და მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი, მერიაში უნდა წარმოადგინოს:

   ა) განცხადება მერის სახელზე ;

   ბ) მშობლების პირადობის მოწმობის ასლები;

   გ) ბავშვების დაბადების მოწმობის ასლები;

   დ) ბავშვების რეგისტრაციის ან სამახსოვრო ბარათები;

   ე)განმცხადებლის საბანკო ანგარიშის ნომერი;

   ვ) ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან.

2. **დანართის მე-6 მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„8. მარტოხელა მშობლის ყოველთვიური ფულადი დახმარება განისაზღვრება თითოეულ ბავშვზე 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

3. **დანართის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

1. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებას:

ა) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან 0-დან-100 001-მდე პაციენტის გადასხდელი თანხის -40 %

ბ) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან 100 001-ქულაზე მეტი, ან ოჯახი არ მონაწილეობს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში ან შეწყვეტილი აქვს შეფასება - პაციენტის გადასახდელი თანხის -20 %.

არანაკლებ 100 (ასი) ლარისა და არაუმეტეს 1000 (ერთი ათასი) ლარისა.

4. **დანართის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

2. სამედიცინო მომსახურების მისაღებად ბენეფიციარმა მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი:

გ) სამედიცინო დაწესებულებიდან გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ-ფორმა N100;

დ) კალკულაცია;

ე) საყოველთაო ჯანდაცვის მართვის დეპარტამენტის მიერ გაცემული საგარანტიო წერილის ასლი(გეგმიური სამედიცინო მოსახურება);

ვ) დაბადების მოწმობის ასლი(საჭიროების შემთხვევაში);

ზ) შესრულებული სამედიცინო მომსახურებისას ცნობა ან სხვა დოკუმენტი(ხელშეკრულება, შეთანხმება) სამედიცინო დაწესებულებიდან გადასახდელი დავალიანების (გადავადების) თაობაზე;

თ) ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე პირების იმ სამედიცინო მომსახურების წილის თანადაფინანსებას, რაც არ ფინანსდება ან/და ნაწილობრივ ფინანსდება სჯდსპ-ით.

ამ ქვეპროგრამით ისარგებლებენ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარები, მათ შორის იძულებით გადაადგილებული პირები.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: ნატალია კობახიძე